ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №6

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან გაერთიანებული)

15 თებერვალი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, გურამ ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, ანა გოგოლაძე,საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი,დავით ფარცვანია, აკაკი ალადაშვილი.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილეები -მარიამ კვერნაძე, თამარ მელიქიშვილი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-032203846-03 7.02.2022წ; 11-01220382484) (№15-03220401-03 9.02.2022წ; 11-01220392557) (№15-032204039-03 9.02.2022წ; 11-01220402029)(№15-0322003430-03 3.02.2022წ; 11-0122034629) (№15-03220451-03 14.02.2022წ; 11-01220422941)
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე. (10.02.2022; 12-032204167-03)
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე(10.02.2022; №12-032204129-03)
4. ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №1/ ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა №29 ა-ს მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №2-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.001.033) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032201149-03 11.01.2022)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.28.132); ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.596) და ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 82,50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.594) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-03220211-03 21.01.2022)
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა N4, კამბოლური დართვის ფაბრიკის მიმდებარედ, 1284 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.011) და ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ, 204 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.050) გაცვლის

ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (27.01.2022; №12-032202720-03)

7. "ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება IV ბ მ/რ-ში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 750 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.958) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (10.02.2022; 12-03220411-03)

8. "ქ. თბილისში, კავთისხევის ქუჩა N17- ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 258 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.028.009) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.(10.02.2022; 12-032204130-03)

9. "ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (27.01.2022; N12-032202735-03)

10. „ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ", კოტეჯი N122-ში მდებარე 84.69 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (27.01.2022; № 12-032202736-03)

11. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N37-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.001.011.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (27.01.2022; № 12-032202735-03)

12. „ქალაქ თბილისში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.034.008.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ(27.01.2022; 12-032202735-03)

13. "ქალაქ თბილისში, სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქუჩა N2-ში მდებარე 82 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 70.99 კვ.მ შენობა-ნაგებობის (საკადასრო კოდი: N01.20.01.117.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.[12-032202736-03; 27.01.2022]

14. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N23ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.022.018.01.050) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ [12-032202735-03; 27.01.2022]

15. "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (27.01.2022; 12-032202736-03)

16. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (03.02.2022; № 12-032203462-03)

17. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (09.02.2022; N12-032204058-03)

18. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (03.02.2022; 12-032203462-03)

19. "ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (09.02.2022; 12-032204058-03)

20. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ*

21. "ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.003.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ
[12-032203462-03; 03.02.2022]

22. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევის N2-ში მდებარე 44.70 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.351.01.01.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (09.02.2022; 12-032204060-03)

23. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე N01.10.07.001.995, N01.10.07.001.993 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის“ (ს/ნ: 405332563) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (30.09.2021; 12-032127367-03)

24. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.156) არსებული N5 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კუბი კონტექსტში“ (ს/ნ: 402176328) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

25. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დიემთი ქორფორეიშნ“-ისთვის (ს/ნ: 406339369) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (10.02.22; 12-032204169-03)

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (09.02.2022; N12-03220413-03)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, რომ საკითხის უკეთ შესწავლის და დაზუსტების მიზნით დღის წესროგიდან ამოღებული იქნას რიგით მე-5 , მე-7, მე-10, მე-15 საკითხები.

დღის წესრიგი დამტკიცდა აღნიშნულის გათვალისწინებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-032203846-03 7.02.2022წ; 11-01220382484) (№15-03220401-03 9.02.2022წ; 11-01220392557) (№15-032204039-03 9.02.2022წ; 11-01220402029)(№15-0322003430-03 3.02.2022წ; 11-0122034629) (№15-03220451-03 14.02.2022წ; 11-01220422941).

მომხსენებელი-ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, გლდანის რაიონის გამგეობას, „რაიონის გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში პირველ კვარტალში დამატებით სჭირდება საერთო ჯამში 578 000 ლარის დამატება, მომდევნო კვარტლის შესაბამისად შემცირებით. გამგეობა აღნიშნავს, რომ მოსალოდნელი შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, პირველ კვარტალში არსებული რესურსი საკმარისი არ არის, რასაც აბალანსებენ რაიონის „კეთილმოწყობითი ღონისძიებების“ პროგრამის პირველი კვარტალში ასრებული რესურსით. დაბალანსება

ხდება ასევე ნაძალადევის რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პირველი კვარტლის გეგმის 150 000 ლარით (საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების სატენდერო პროცედურები განხორციელდება მეორე კვარტალში) და ისნის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთები“ პროგრამის პირველი კვარტლის 100 000 ლარით (გამგეობა აღნიშნავს, რომ „ჯორჯიან ენდ ფაუერის“ მიერ კომუნიკაციის მოწყობის სამუშაოები დასრულდება მომდევნო კვარტალში) შემცირებით.

ჩუღურეთის რაიონს, პროგრამაში „კეთილმოწყობითი ღონისძიებები“ პირველ კვარტალში ესაჭიროებათ 40 000 ლარის დამატება, რაიონის ტერიტორიაზე ავარიული სახლების გამაგრების წინმსწრებ დამზღვევი სამუშაოების და სტიქიის და სიძველისგან დაზიანებული შენობა-ნაგებობის ნანგრევებიდან, ტერიტორიების გაწმენდითი სამუშაოების დასაფინანსებლად. აბალანსებენ პროგრამაში „რაიონის გზების მოვლა-შეკეთება „ პირველ კვარტალში არსებული რესურსით.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნით, პამდემიიდან გამომდინარე მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვის და დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სკოლების გამართული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, ჰიგიენის და სამედიცინო და სადეზინფექციო საშუალებების შესაძენად, „კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების“ პროგრამაში პირველ კვარტალის გეგმას ემატება 60 000 ლარი, რასაც აბალანსებენ „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის „ პროგრამაში პირველ კვარტალში არსებული რესურსით.

გარდა ამისა შესათანხმებლად წარმოდგენილია პროგრამის: „ საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება“- პირველი კვარტლის გეგმის გაზრდა 3 000 000 ლარით. დაბალანსება ხდება “საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის“ და „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების „ პროგრამებში პირველ კვარტალში ამ ეტაპზე არსებული თავისუფალი რესურსით. გარდა ამისა იზრდება გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა 395 400 ლარით, ვინაიდან გაიზარდა შემოსავლების ნაწილში პირველ კვარტალში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები.

ასევე წარმოდგენელია სარეზერვო ფონდის პირველი კვარტლის გეგმის გაზრდა 500 000 ლარით, რასაც ვაბალანსებთ “წინა წლებში წარმოქმნილის დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ პირველ კვარტალში არსებული თავისუფალი რესურსით.

მომხრე-11

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური,სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2022 წლის 1 იანვრისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (74 779,5 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 11 854,7 ათასი ლარით (მათ შორის 351,5 ათასი ლარი). ასევე, იზრდება მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 11 000,0 ათასი ლარის ოდენობით (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-12 დადგენილება და შპს თბილსერვის ჯგუფის 2022 წლის 2 თებერვლის N62-01220332655 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ ათასი ლარით და შეადგენს 1 392 079,0 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 4 563.2 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 15 600,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 10 886,1 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება - 11 069,3 ათასი ლარი, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 20,5 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) – 3 534,4 ათასი ლარი, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) – 2 081,3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 2 000,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 5 177,9 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 9 461,1 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) პროგრამის ასიგნება - 24 612,6 ათასი ლარი, ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 600,0 ათასი ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 1 200,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება – 503,8 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 7 444,3 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 534,0 ათასი ლარი, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) – 1,9 ათასი ლარი, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 16,0 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 138,2 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 78,6 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 3 163,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (კოდი 08 06 04) – 9 183,7 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 500,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნება – 600,0 ათასი ლარი, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 1 291,6 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 540.9 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 47,9 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 44,6 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 695,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 190,0 ათასი ლარით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 26,6 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 33,9 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი პროგრამები/ქვეპროგრამები: მეტროს სადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 01 02 03) – 4 650,0 ათასი ლარი, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) – 1 750,0 ათასი ლარი, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12) – 55,0 ათასი ლარი.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) ქვეპროგრამის ასიგნება – 1 160,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 17,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 120,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 80,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 160,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 40,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 2 120,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 53,3 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის

მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 32 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 103,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 44,6 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 33,3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 190,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) – 200,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) – 120,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 33,4 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 160,0 ათასი ლარი.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 26 ერთეულით, ქ.თბილისის საკრებულოს (კოდი 10 01) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 3 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 30 ერთეულით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 13 ერთეულით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, ხოლო მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (კოდი 07 06 01) ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 62 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 3 990 ერთეულით.

აზრი გამოთქვეს: ანა გოგოლაძემ, ირაკლი ნადირაძემ, საბა ბუაძემ, ალექსანდრე რატიშვილმა, ირაკლი ხელაძემ.

ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა, ბიუჯეტში რომელ პროგრამებში დარჩა ნაშთი. ასევე იკითხა, რატომ შემცირდა პროგრამა "საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია", მომუშავეთა რაოდენობასთან დაკავშირებით, რამ გამოიწვია „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" (კოდი 07 06 01) ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობის შემცირება 62 ერთეულით.

ბიუჯეტში ნაშთებთან დაკავშირებით, ანალოგიური შეკითხვა ჰქონდა ანა გოგოლაძეს. გარდა ამისა ის დაინტერესდა, თუ რითაა გამოწვეული „მერიის ადმინისტრაციი"ს (პროგრამული კოდი 10 02) ხარჯების გაზრდა, ასევე უკავშირდება თუ არა პროგრამის „საბაგირო ტრანსპორტის სუბსიდია" (პროგრამული კოდი 01 02 05) 1 750 000 ლარით გაზრდა მთაწმინიდის საბაგირო გზის მშენებლობას.

ალექსანდრე რატიშვილი დაინტერესდა თუ რატომ იზრდება საკრებულოს ხარჯები (პროგრამული კოდი 10 01) მათ შეკითხვებზე განმარტა გაიოზ თალავაძემ. მისი მოხსენებით ბიუჯეტში ასახულია ნაშთი 74 779 499 ლარი, საიდანაც 27 მლნ ლრი შემოსავლების გადაჭარბებით შესრულებაა, ხოლო 47 მლნ ლარი გარდამავალი პროექტების ხელშეკრულებებია, რომლის დაფინანსებაც მოხდება მომდევნო წელს. რაც შეეხება ნაშთებს ცალკეული მუხლების მიხედვით, გამოჩნდება ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.

პროგრამის „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია" შემცირება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ „თბილისის ავტობუსების პროექტის" ფარგლებში საქალაქო ავტობუსების შესასყიდად 2022 წლის ბიუჯეტში დაიგეგმა 62 მლნ ლარი, მაგრამ 2021 წლის ბოლოს, შპს „სატრანსპორტო კომპანიას" აღნიშნულისთვის ჩაერიცხა 28 მლნ ლარი სხვადასხვა პროგრამებში წლის ბოლოს მოსალოდნელი ეკონომიებიდან და აღნიშნული პროგრამიდან თანხები გადატანილია „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის" პროგრამაში, ვინაიდან მოსალოდნელია მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული, უკვე ყველა სახის ტრანსპორტით მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდა.

„საბაგირო ტრანსპორტის განვითარების" პროგრამაში 1 750 000 ლარის დამატება განპირობებულია „მთაწმინდის საბაგირო გზის" მშენებლობის, „რიყე-ნარიყალას" და ჭავჭავაძის გამზირი კუსტბას" საბაგირო გზის გეგმიური კაპიტალურ რემონტით. რაც შეეხება „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" მომუშევათა რიცხოვნობის კლებას, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თანამშრომლები იყვნენ ნახევარ განაკვეთზე და გადავიდნენ სრულ განაკვეთზე.

გათვალისწინებულია სასერვერო მომსახურებისთვის ადმინიტრაციული შენობის აშენება, რისთვისაც მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (არაფინანსური აქტივების ზრდა) გაიზარდა 1 400 000 ლარით. რაც შეეხება საკრებულოს ხარჯების ზრდას, დაგეგმილია ავტომანქანების შესყიდვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე აღინიშნა, რომ საუბარია ოპერატიული საქმიანობისთვის განკუთვნილი პარკის განახლებაზე. „საკრებულოს ავტოპარკი" არის საშინელ მდგომარეობაში და ზოგიერთი მანქანა იმდენჯერაა შეკეთებული, რომ კიდევ რემონტს აღარ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულს არ დაეთანხმა საბა ბუაძე და ალექსანდრე რატიშვილი.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ როდესაც მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს დეპუტატები საუბრობენ საქალაქო ტრანსპორტის პოპულარიზაციაზე, არასწორად მიაჩნია ახალი მანქანების ყიდვა, რაზედაც მას უპასუხეს რომ ხდება არსებული ძველი მანქანების ახლით ჩანაცვლება, ხოლო ალექსანდრე რატიშვილმა მიმართა ოპოზიციას, რომ უარი თქვან ავოტომანქანებით მომსახურებაზე.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 8 წინააღმდეგი-ირაკლი ნადირაძე,საბა ბუაძე. თავი შეიკავა- დავით ფარცვანიამ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტის , საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით შესასყიდი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისათვის" (ს/კ: 406153111) გადასაცემი საცხოვრებელი ბინის შესყიდვა განხორციელდება შემდეგი პირობებით:

- საცხოვრებელი ბინის მთლიანი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ღირებულებას 10%-ზე მეტით.
- საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ.-ის ღირებულება, არ უნდა აღემატებოდეს 750 (შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარს.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი ბინა უნდა იყოს საცხოვრებლად ვარგისი და არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

საბა ბუაძემ დადებითად შეაფასა უახლკარო პირთათვის საცხოვრებელი ბინის შესყიდვის საკითხი და დაინტერესდა რამდენი პირის განაცხადია უსახლკაროთა სტატუსის მიღებაზე, რამდენი დაკმაყოფილდა ან თუა ცნობილი როგორ გახდნენ აღნიშნული პირები უსახლკაროები. ხომ არ არის ისეთი შემთხვევები, რომ იპოთეკის გამო მათ დაკარგეს სახლები და დარჩნენ უსახლკაროდ.

შეკითხვაზე თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ აღრიცხვაზეა 400- მდე ადამიანი, არის ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ უნდა იყოს რაღაც პერიოდი გასული, რომ იპოთეკით დაზარალებული აღირიცხოს როგორც უსახლკარო.

ირაკლი ნადირაძის თქმით, საუბარია მზა კორპუსებში ბინების შესყიდვაზე და იკითხა რატომ არ მიდის პროცესი იმ გზით, რომ მოქალაქეს მიეცეს აღნიშნული თანხა და თვითონ აიშენოს. მას მოტივაცია არ უნდა დავუკარგოთ და თავად ეცადოს ბინის შეძენა.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ბინების გადაცემა ხდება სარგებლობის უფლებით, ვიაიდან საკუთრებაში გადაცემით, შესაძლებელია მფლობელმა იგი გაასხვისოს.

მომხრე-11

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №1/ ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა №29 ა-ს მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №2-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.001.033) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით,სამსახურს მომართა ნიკოლოზ ოკლეიმ (პ/ნ01025000234) და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში,ქეთევან წამებულის გამზ.№29-ის მიმდებარედ, №2—29-ას შორის მდებარე 703 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.138.073) ადგილმონაცვლეობა.

აღსანიშნავია, რომ ამ საკადასტრო ერთეულზე არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით, შეთანხმდა მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები (საპროექტი ობიექტი: სასტუმრო), ხოლო შემდგომ შეთანხმდა სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. მოგვიანებით სასტუმროს კორექტირებული პროექტის შეთანხმებაზე, იმავე სამსახურის გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ იმ მიზეზით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემეკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაციით „სკვერის ტერიტორიაზე არ არის მიზანშეწონილი წარმოდგენილი სახით სამშენებლო განვითარება".

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ 01.17.01.138.073 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო „გენ.გეგმის" დამტკიცების შემდეგ მიწის ნაკვეთის უმეტეს ნაწილზე ფუნქციურ ზონად განისაზღვრა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) , მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 5 და უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა შეიზღუდა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 01.17.01.138.073 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს არსებული სკვერის ნაწილს და ვინაიდან ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარი, სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა და შენარჩინება, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია უძრავ ქონებაზე სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნება. გამომდინარე აქედან სააგენტომ ნიკოლოზ ოკლეის შესთავაზა გაცვლის ფორმით პრივატიზებისთვის ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №1/ ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა №29 ა-ს მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №2-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.10.18.001.033).

როგორც თამარ მელიქიშვიმა აღნიშნა, სააგენტოში წარმოდგენილია მოქალაქის განცხადება, რომლითაც იგი აცხადებს თანხმობას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების №01.10.18.001.033 საკადასტრო ერთეულში გაცვლაზე. წარმოდგენილია ასევე გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანხმობა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობაზე, ხოლო ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილით მიზანშეწონილად იქნა მიოჩნეული №01.10.18.001.033 საკადასტრო ერთეულის განკარგვა (სანაცვლოდ გადაცემა) მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების პირობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორივე მიწის ნაკვეთი შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ და საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა მიწის ნაკვეთების ღირებულებებს შორის ფასთა სხვაობა 200 000 ლარი, ხოლო საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა: ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №1/ ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა №29 ა-ს მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი №2-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.001.033) სამშენებლოდ განვითარება დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

აზრი გამოთქვა ირაკლი ნადირაძემ. მან აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა მიწის ნაკვეთების გაცვლის ნაცვლად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გაგვეტანა აუქციონზე და მუნიციპალიტეტი უფრო მეტ შემოსავალს მიიღებდა, რაზედაც თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანა დამოუკიდებლად ამ კონფიგურაციით ვერ მოხდებოდა. აუქციონზე გატანის შემთხვევაში, შესაძლებელია ვინმეს ეყიდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ტერიტორია ხვდება ძეგლის არეალში და მიწის ნაკვეთის განვითარება „ისტორული საბჭოს" გარეშე ვერ მოხდება, რაც თავისთავად აგდებს მიწის ნაკვეთის ფასს.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე საკითხი გადაიდო უკეთ შესწავლის მიზნით და დაინტერესდა დამატებით რა იქნა შესწავლილი. მას განემარტა, რომ კომისიის წევრები ადგილზე იყვნენ გასული, რათა ენახათ მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ასევე აღინიშნა, რომ ბევრია ისეთი ტერიტორია რომელიც სკვერს წარმოადგენს და გასხვისებულია, მუნიციპალიტეტი ცდილობს ამ ტერიტორიების დაბრუნებას ისევ

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ამის გარდა აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთის განვითარება უნდა მოხდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანების პირობით და მიწის ნაკვეთის ნაწილს ადევს ტზ-2.
საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია რომ აღნიშნული საკითხი კეთილსინდისიერი ურთიერთობაა და ის წინააღმდეგია.

მომხრე-8 წინააღმდეგი-საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი, დავით ფარცვანია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა N4, კამბოლური დართვის ფაბრიკის მიმდებარედ, 1284 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.011) და ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ, 204 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.050) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი- თამარ მელიქიშვილი

თამარ მელიქიშვილის მოხსენებით, ბესიკ აბესაძემ განცხადებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში მის საკუთრებაში არსებული 1500 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი:№01.20.01.120.059) ადგილმონაცვლეობა. არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე გავრცელებული ლანდშაფტურ-სარეკერაციო ზონა, შეიცვალა სარეკრეაციო ზონა 2-ით და სამსახურის ბრძანებით 2015 წელს, მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სამშენებლოდ გამოყენების პირობები და გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მომდევნო წლებში იმავე სამსახურის გადაწყვეტილებით, ბესიკ აბესაძეს უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე, ვინაიდან №01.20.01.120.059 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს ქალაქისათვის მნიშვნელოვან სარეკრეაციო სივრცეს და ვრცელდება აქტური გამწვანება. ასევე არქიტექტურის სამსახურში შესულია დაბა წყნეთის ნიკო ლორთქიფანიძის ქუჩისა და ჩიხის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, რომლითაც ითხოვენ №01.20.01.120.059 საკადასტრო ერთეულის სამშენებლო განვითარების შეზღუდვა და ტერიტორიისთვის კვლავ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსის დაბრუნება. დედაქალაქის გენ.გეგმის შესაბამისად №01.20.01.120.059 საკადასტრო ერთეულზე ფუნქციურ ზონად განისაზღვრა სატყეო ზონა და შესაბამისად უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარება რზ-2 ის ფარგლებში დასაშვები სახეობების მიხედვით შეიზღუდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბესიკ აბესაძის უძრავი ქონების გაცვლის მიზნებისათვის, სააგენტოს მიერ შეირჩა ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა N4, კამბოლური დართვის ფაბრიკის მიმდებარედ, 1284 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.011) და ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ, 204 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.050)მიწის ნაკვეთები, რომელიც მდებარეობს მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მომიჯნავედ.

